

# ლიტერატურული გაზეთი



1985 თებერვალი 6

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ექვსდღიური ორგანო

შანი 50 კაპ. № 6 (98)

## ბოლშევიკური სიფხიზლისათვის

„...სამგზის წყურთმა მტერი ისარგებლა ხერხით იქ, სადაც არ იყო ფხიზელი“ ბოლშევიკური თვლი. და ეს დაუჯდა ქვეყანას ერთ-ერთ უნიჭიერეს ადამიანის დაკარგვად. ეს დაგვიჯდა კიროვის სიცოცხლეთ.

სიფხიზლე! რევოლუციური სიფხიზლე! არა რეზოლუციები. არა! სიფხიზლე მოიზიდა მოქნილ ორგანიზაციას, წრულ გულს, პარტიისადმი ერთგულებას, სამშობლოსადმი ერთგულებას. გავამახვილოთ თვალი! უფრო ზუსტად მოვარტყათ მტერს. დაუნდობლად გავუმკვლავლოთ კონტრრევოლუციის ნაშეიერ.

...აი, ასეთი ფიცი დადევით ჩვენ წითელ მოედანზე, კიროვის საფლავთან“ („პრავდა“).

მტერი არ იძინებს, მტერი გვიყარაულებს კუთხიდან, მტერი გვეპარება ყოველი საშუალებით და ხანდახან, წარმოიდგინეთ, პარტიის მანდატითაც კი ერთ ხელში და მეორე ხელში ვერაგულად კიროვზე მომხიზნებული ნაგანი... მთელი მისი ცდა იმაშია, რომ თავი გამოიყოს იქ, სადაც ჩვენ არ გვაქვს საკმაო სიფხიზლე.

ლენინური პარტიის უკანასკნელ ყრილობაზე პარტიის და მსოფლიო პროლეტარიატის გენიალური ბელადი ამხ. სტალინი მიგვიითებდა იმის შესახებ, რომ კლასობრივი მტრის არსებობის დასაწყებად არ შეიძლება, რომ პარტიის შიგნით ყოველგვარი ორგანიზებული აშკარა ოპოზიციის მოსპობით ჯერ კიდევ არ მოსპობილა ამა თუ იმ პარტიის წევრის გადახრის შესაძლებლობა.

ლიტერატურაც არ არის ისეთი სფერო, სადაც მტერი არ ცდილობდეს თავისი პინძური ხელის გარეგნად. ზინოვიევის ჯგუფების ზოგიერთი ნაძირალები, რომლებიც დღეს პროლეტარიატის ნებისყოფის თანახმად ან დახვრეტლია, ან ცინეზია და ზოგი კი საკონცენტრაციო ბანაკებში — ლიტერატურის სფეროშია „წყალობდენ“. ზოგიერთი მათგანი (ვარდინი, გარბაჩოვი) თავის დროზე პარტიული ოპოზიციების ფილიალურ „ლიტერატურულ“ დაჯგუფებებს აწყობდნენ და ცდილობდნენ თავიანთი ანტიბაზუთა და ანტიპარტიული ხაზის ლიტერატურაში გატარებას. ანდა ავიღოთ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის შიგნით არსებული ადმინისტრატორული — „მემარცხენული“ გადახრები, რომელთაც საბოლოო ანგარიშში იმავე ანტიპარტიულბამდემ მივყავდით. საქართველოს პირობებშია ცველდა თავის დროზე გამოძახილი ვარდინისტული ლიტერატურული ჯგუფებისა, გვექონდა მემარჯვენე (ბუხარინული) შეცდომებიც და მემარცხენულ-ადმინისტრატორული მიდგომა მწერლობისადმი. იყო კონტრრევოლუციური მემარცხენე სოციალ-დემოკრატიზმი და ქართული ნაციონალ-მენშევიზმის რეციდივებიც. და სწორედ ამიტომ ჩვენ გვმართებს მეთი სიფხიზლე ლიტერატურის ფორტზე, მეთი ბოლშევიკური დაუნდობლობა ასეთი მოვლენებისადმი, რა „დოზითაც“ ან რომელ პიროვნებასაც არ უნდა აღმოაჩნდეს იგი ახლაც.

ავიღოთ დღევანდელი მაგალითი. ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი ირი ღირსშესანიშნავი დოკუმენტი ქვეყნდება: საქ. კ. პ. (ბ) ცეკას კულტპრობის გამგის და მწერალთა კავშირის თავმჯდომარის წერილები. ეს უკანასკნელი მოგვიწოდებს გამომცემლობებში მუშაობისას — ტროცკისტული წიგნები. ეს ტროცკისტი პოლიტიკურად დაკავშირებული იყო იმავე ვარდინთან. ჩვენ გაზეთშია ცდიდეს გამოქვეყნებული კულაკურ-ტროცკისტული მოტივები შემთხვევითი რაოდენად, ისინიც ტროცკისტთანაა დაკავშირებული და ამ მოვლენების წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა გვმართებს.

სოციალიზმის ყოველმხრივი გამარჯვება აცოფებს მტრის ისედაც განადგურებულ ნარჩენებს. მტერი არ იცის დანდობა და ამიტომ აის მტერი. მტერს სპობენ, როდესაც ის არ გნებდება — თქვა გორკიმ.



კლასობრივი მტერი გასრლის წინ ნახატი — ს. გაბაშვილისა

## ცხელ-ცხელი აგებები\*)

აკაკის გამოუქვეყნებელი ფელეტონი

ხშირი წვიმების გამო, ივნისის თვეს ჩვენში საზოგადოდ „ჩოხა-დამპალს“ ეძახიან, მაგრამ სამ წელიწადში ერთხელ ამ ივნისსაც აქვს ხოლმე თავისი ნაკიანი წელიწადი! ეს მაშინ, როცა ქუთაისის ლებერიანის აზნაურობა მოიყრის, ხოლმე თავს ქუთაისში, წინამძღოლის ანუ, როგორც საზოგადოდ ეძახიან, მარშლის ამოსარჩევად. მაშინ ამ ივნისის თვეს ჩოხა-დამპალა კი აღარ ქვია, — ჩოხა-ახალა; რადგანაც ვისაც კი კენჭი აქვს, ყველას შეუძლიან რომ ჩოხა გაიხადოს. იმერეთში ამორჩეულ პირს, ანუ მარშალს, წინამძღოლს, ანუ წინამძღოლელს კი არ ეძახიან, — წინამძღოლელს, ანუ წინამძღოლს. არ გვეღონოს, რომ ეს ენის უცოდინარობით მოდოდის; არა, ამ სიტყვით აზნაურობას სურს, რომ ნათლად გამოხატოს მარშლობის იდეალი: წინამძღოლი, ანუ წინამძღოლელი ნიშნავს იმ კაცს, რომელიც წინ და წინ, ეს იგი, საქმის დაწყებამდის აძლებს სხვებს; და ვინ არ იცის, რომ ჩვენი გულკეთილი საზოგადოება არაფერს ღირსებას არ თხოულობს ამოსარჩევი პირისაგან, თვინიერ წინ-და-წინ გაძღომისა და სადილ-ვახშმებისა! ჩემის ყურით გამიგონია, რომ ეთქვას მეტეჭეს, ანუ ამომრჩეველს: „დღეა! რაღა ამოვირჩევ იმისთანა კაცს, რომლისგანაც ერთს სტაქანს ლენინსაც არ ველი, რომ ჩემი კენჭი გავრეცხოს!“ ეს იმას ნიშნავს, რომ მარშლისაგან თხოულობენ მხოლოდ პურ-ღვინოს რეზერვულ-უხუცესობას; — თუ-მცა ამ სიტყვების მთქმელი, მისდა გაუგებრად, როცა კენჭის გარეცხას თხოულობს, იმას უფრო ამტკიცებს, რომ მის ხელში კენჭი გასვრილია და გარეცხას საჭიროებს. — ვინ თქვა, რომ ჩვენმა ხალხმა ქიმია არ იცის? სხვადასხვა შეზავებულის ნაწილებსაგან შავს თეთრად აქცევენ და თეთრს შავად! ვისაც უნდა, რომ შავი კენჭი გაათეთროს, უნდა შეაზაოს ერთად, ზუთხი ქინძით, ძმრითა და ომბალით, ზედ მიაყოლოს ლომი, ამოუღვას გვერდით მსუქანი ძროხის ბეჭი, შეწვენითა ტყემლისათა, იმას მიაყოლოს მწვადებ-ლავამები, გულებიც ქველა დაალობს ყიფიანის ლენინში, რომ მეტეჭეებმა მოსძახონ „მრავალ შამიერი“ და ზედ დააშატონ „პარალელი“ შემდეგის ლექსებით:

„ვოი! აწ ჩვენ ვიცით, ვისიც უნდა გამოირჩევა, გვინდა ჯიბე შეგვისქელდეს, რადგანაც გვაქვს ამის ჩვევა. ხან მარჯვნივ ვართ, ხან მარცხნივ ვართ, ორივესგან გვაქვს მიწვევა, — ზაფხულში თავს გამოვიკვებთ, შემოდგომაზე მოგვეწვევა!“ ამ სიმღერას ამოსარჩეველმან უნდა სამჯერ სულამოუთქმელად თორმეტი „ხა! ხა! ხა! ხა! ხა!“ მიაყოლოს და შეწვევითა ლეთისათა შავი თეთრად იქცევა! — ეს მოხერხდა, მაგრამ ამ ხიმიკოსებს ერთი საქმის გაკეთება უნდოდათ, ის კი ველარ მოახერხეს: უნდოდათ, რომ სამლორთო წერილის სიტყვა შესახებ კაცისა, რომ კაცი მიწა და მიწად იქცევაო, გაემართლებით და კაცის სულგები სიცოცხლითვე მიწისთან შეერთებით, რომ მითი მიწა გაეზარდათ და სრული ცენზი გამოეყვანათ; მაგრამ ამ ხიმიკოსებმა ვერ მოახერხეს მიწისა და კაცის ერთმანეთზედ მიკოსება და წითელი ვარაცუცი ტყულა შეზტა და შეზზიოლა! — ბევრი კითხულობს: ეს წიგნი, ეს ვარაცუცი შარშან რომ თეთრი იყო, წერულს რაღა გააწითლაო, და მიკვირს, როგორ ვერ მიხვდნენ! ჩემის მხრით, ის მიტომ გაწითლდა, რომ შარშან ვერაფერი გაარგა და შერცხვა. — გაწითლებას თქვენი ჭირი წაუღია, კიდევ არ ვინაღვლით, მაგრამ შარშანდელმა შემთხვევამ რომ წითელი ფერი დაადვა, ვი თუ წრავანდელმა ყიფითელი დაადვას, და მაშინ ჩვენმა მტრებმა მითი გული გაიძღონ, — და ჩვენც მწუხარებით ეს გვაძღერონ: წახდა ჩვენი ჭირნახული; ვერ მოვიმკეთ, რაც ვთესით, ჩვენი წაღმა დანათესი, უკულმა გვიფარცხეს ქებით, უწესურად ფაგილქვეს, რაც მოვაცხვით უმაღ კენჭისით და ფალიაზედ წყალს გვისხმენ, რაღას ვიზამთ ჩანახა-კვესით?! მაგრამ მაინც ნუ დავსცხრებით, კვალს უყვეთო ნელა, ნელა, ეგებ დღესვე გამოჩნდეს წარღვნის შემდეგ ცისარტყელა! დაიქუხოს, გაიღვოს, გაგვიხათლოს, დღეს რაც ბნელა, და ახლის ტყავით შეგვიმოსოს, რაც შემთხვევად დაგვიძველა!..

## ბ ე ლ ა დ ი ალ. ბეზინენსკი

შემოგრიალდა დიდებული მისი სახელი, როგორც სიმღერა, როგორც ფიცი, გრგინვა ქვედხთა... და სიფრცევეში ჯეჯილების, მალალ ქარხნების, კიდიოკიდემდე უთვალავი გამოძახი- ამ ერთ სახელის ირგვლივ (ლით, ერთხმად ხალხი შეერთდა. ხალხი, რომელიც ახალ აზრით და ძლევეთ ხელში, სკედს კომუნისმის სიმალეებს ქვეყნის ხალისად, ყაზანის ხროკ ტრამალეებზე, ციმბირის ტყეში, კავკასის ველზე და ქარხნებში ლენინგრადისა; ხალხი, რომელმაც მტკიცე ნებით, შრომის ხელობით სულ სხვა მხარეზე გადაუშვა ვოლგა დუდუნით. ბალით მოქარვა ველურ მთათა ღრიანკელები და ბელომორის არხით გასჭრა კლდენი უკუნი. ჰაერში გაჭრა თუ გაიხსნა უცებ კედელი, მეც აღარ ვიცი... როგორ ჩაქრენ აბაჟურები, ჰქუხს მანქანები, აელვარდა შორს მარტენები და ქალაქები აგუგუნდნენ აკვამლულები. შრიალებს ყაბა, თვითმფრინავნი ცაზე მიქრიან, ქანაობს ბამბა — სადაც გუშინ ისევ ტბა იდგა. განსნეს ქვესკენი, ცასაც ჰქვეთენ ღრუბლის ფიფქიანს, შრომის სიმღერით იწკრილა აგერ ტაიგამ. და მოსალმენის ხმაილალი გვემისი ძახილი ბერლინის ციხის ფანჯრებიდან გამოქროლებით, მქუქარე ხმები შორ პარიჟის მწიერ ქარხნების, მთა ასტურის და ჩეხეთის საამქროების. გაიმღერონ შორს თუ ახლო, შთაში თუ ბარში. სულ უფრო მკვეთრად, შთაგონებით, გრძობით ნათელით. გრილობს ტაში, ყოველ მხრიდან გრილობს ტაში, ქვეყნის მფლობელთა აღტაცების გამოძახატველი. მათ სიმღერაში — მზე გადმოქუხს ზეცას დარულად, მათ სიმღერაში — ჩვენი ქვეყნის გამარჯვება, — შრომის ხალისი, გაქანების გამბედაობა, და ის უკულება, თუ რისთვისაც დაბადებულან. ო სიმღერაო, არ გახურავს ზევიდან ჭერი, მსოფლიო მებრძოლს შემზღუდავი არ გაქვს კედელი. რა მზე ვიგლები, სახეები მხარულ ფერის... ხმაურობს სივრცე, ათრთოლებულ ტაშების ძვრით, არც გათავდება — მისალმება განუწყვეტილი. ჰე, გაუმაჯროს ბოლშევიკურ კომუნის ბელადს, მკერდში რომ გული ჩვენი ქვეყნის აქვს დაუძმცხრალი. ეს იყო დღეს, ვრცელ ყრილობას რომ გადმოხედა და ტრიბუნაზე აიშართა მალალი სტალინი.

თარგმანი დავით გაჩეჩილაძისა

\*) ამხ. კაკაბაძის შენიშვნა აკაკის ამ ფელეტონის შესახებ იხილეთ მეოთხე გვერდზე.



1.

და თუ გვეხმარება ჩვენ ხილთა ქება, გვეხმარება თვალის ნაკადი მთვარის; თუ ჩავგვირდებოდა წარსულის ხმებით ორთქლებს ტირილი თარის;

თუ—ნარიყალას ჩვენ გვაწამებდა გამოტანილი ძველი სიზმარი; თუ—გარეუბნის ანთებულ ბაღში მოგვყავდა დილა დუღუქის ალით;

ან თუ—გვფარავდა ცხელ წყალში ჩამხრავლ ჩერო ვახტანგის მიმინოს ფრთისა; ან თუ—ყაბახას რომანტიული ხსოვნა ჯირითის გულს წაეფისა—

—გაჭკრა, წავიდა. ახალი სიტყვის არის საგანი. ახალ სიმღერის და სიმფონიის მოდის ტულიდან დიდი მადანი.

ბრწყინავს სიტყვაში მზე გადაშლილი ფარშავანგით. სტრიქონი სტრიქონს იწვევს ბრძოლაში ჩამჯდარი ლექსში რკინის უნაგვიით.

და გადაიხსნა ახალ ტფილისის ოქროს სივრცით. ისლდება ბაღად შრომა დაღვრილი. და თუ არ ახლა: როდის აიხსნას,

როდის დასწყვიტოს ლექსმა სიჩუმის მიმღე აღვირი.

რა სიამაყე მირტყამს ზაღისით, რომ ჩვენ თვალს ხიბლავს სულ სხვა ტფილისი მაღლა აწვდილი. მივწავს გულში გრძობა უტკბესი, რომ ამ ეპოქის ვარ მოწოდებ.

მზე ხმაურით გადმოთლავს არსენალის დაბალ კალთებს, და ტფილისს შუქში ელავს, შუქი დილის მტკვარს აანთებს.

მტკვარი გაქვს: ქართლის სევდა ჯებირებს რომ შეაფუფენი. შენ სინათლეს რომ აფრქვევ და მარმარილოს ჯილა გშეენის.

დაავრილებს შენს ნაპირებს ხეივანი ნარი ხისა. ლომი ტორით დააპირებს გადაკეთას შენს ტალისას.

და გაჰყვები შეფოთილი მწვანე კუნძულს ზღვებისას. სცემს ჩანჩქერი სარკეს გრილი მოოქვილი ცის თაღისა.

და ტფილისის შავს ძარღვებში საკალმახე ჩადგა წყალი. ჩაიფურღლა შრომის თქეით მაშადანის ნადვრდალი.

იქაც—სადაც ქარი კალთას მთას უნგრევდა ხაოცარი— სქელი კვამლი აიშართა და დღე დენბა ოფლის დვარით.

დგას ქარხნების ოსშივარი ეკიდება ცის ალმური. ხარაჩოთა ხმელი კვარი მღერის—ფიჭვის საღამური.

მარმარილოც შევინს ქუჩებს. შრიალბენ შადრენებს. და მზე ხმაურს დააუტყებს ვარსკვლავების თეთრ მტევნებით.

საით მიდის კიდე ვერის, უდაზნო რომ დააფეთა! გიგანტების ოქროს მტვერი აღინდება მალე მცხეთას.

დაგარდობებს ტყე ნარნარი. ვით შეგიმტვერებს გულს მწვერვლი.. შენს ნაწინარში მთვარე წყნარი ჩაიბუღებს—ღამის მწვერი.

ვინ შეხლოს და ვინ შეაქოს ჩვენი ქვეყნის საფეთქელი. სულ ახალი ზოლიაქოს თავს ადგა სხივი ცხელი.

ეს რა ძალა გადაშლილა, მიგაქროლებს წინ შენებით. შენი ბედის დიდგა დილა კაცკასის ცის შვენება.

ტფილისის მუდის ფაბრიკის კომკავშირის ენიციკლოპედიით ფაბრიკის ორახუნულიან კომკავშირულ მეთოდებზე 30 ინფორ მიწვეული იქნა მწერალი პ. მ. საყვარელიძე.

პროლეტარული რევოლუციისთვის ბრძოლის დროს ამხანაგულ ამ მხატვართან მუშაობის ხვედრების ასეთმა შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

მუდის ფაბრიკის ამ მაგალითს მიზნად საქართველოს რადიო-კომიტეტის პირველადმა ორგანიზაციამ.

საბჭოთა მწერალთან ჩვენმა შეხვედრამ ჩემს მოლოდინს გადაჭარბა, მაგ. არ ვფიქრობდი თუ ჩვენ მოთხოვნას მწერალი ანგარიშს გაუწევდა. ახლა კი მე და ჩემმა ამხანაგებმა შევიგნეთ, რომ ჩვენ გვაქვს სრული უფლება რათა მწერალს უთხრაო, რომ მის ნაწერში ეს ადგილი ცუდია, ჩვენთვის მანე, ხოლო ეს კი კარგი, ვარგისი ჩვენი პროლეტარული გემოვნებისათვის—აცხადებს უკვე ამ ამბის მეორე დღეს მუდის ფაბრიკის საქსოვი ხაამქროს კომკავშირის ორგანიზატორი ამხ. გრიგორიანი და დახტენს—სურვილი დიდია, ჩვენ სხვა მწერლებსაც მოვიწვევო.

ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელი ამხ. სტალინის სახელობის ქარხნის კომკავშირმა განიზარბა ახლო მომავალში დროგამოშვებით შეხვედრა მოაწყოს მწერალ მიხეილ ჯავახიშვილთან, პანტილემონ ჩხიკვაძესთან, ალ. მაშაშვილთან, ლ. ქიჩიელთან და სხვ.

უსათუოდ საუკეთესო წამოწყებაა. მასიური მუშაობის ასეთი ფორმა კარგა ხანია ნაცადია. ჩვენში მას კამპანიების ხასიათი აქვს. მწერლისა და მკითხველის შეხვედრას მაშინ ექნება რამდენი მნიშვნელობა, როცა ეს შეხვედრები არ გადაიქცევიან ბანკეტებისა და მილოცვების ერთობ გამოხატულებად და მწერალი მართლაც გაიგონებს თავისი მკითხველის ხმაართლიან ხმას მისი შემოქმედებითი საქითების გარშემო და მეორე მხრივ მკითხველი მომზადებული დახვედრა თავის მწერალს.

ისე კი ზერითელ „სადარბაზო შეხვედრებს“ უნდა ვერიდოთ.

# კულაკური ახალგაზრდობის დეკლარაცია

კარლო ორაგველიძე

კომუნისტური პარტია უდიდეს ყურადღებას აქცევდა და აქცევს საბჭოთა მწერლობის განვითარებას. ეს გასაგებია, რადგან საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის მნიშვნელობა ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაში მეტად დიდია. ეს მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება მეორე ხუთწლიურში, როდესაც ჩვენს წინაშე დასახულია უდიდესი ისტორიული ამოცანა—დაძლივა კაპიტალიზმის ნაშთობისა როგორც ეკონომიკაში, ისე ადამიანთა შეგნებაში.

შემთხვევითი რომ იყო ის გარემოება, რომ პარტიის ბელადმა ამხ. სტალინმა მწერალს უწოდდა „სულის ინჟინერი“, დაიხ, ის სულის ინჟინერია, ის უდიდესი უნდა გავიგებოთ თავისი მხატვრული ნაწარმოებით ფართე მასების შეგნებაზე.

აქედან აშკარაა, თუ რა დაუფასებელი სამსახური შეუძლია გაუწიოს მხატვრულ ლიტერატურაში პროლეტარიატს კლასიური ბრძოლის, სოციალისტური მშენებლობის პროცესში. მწერალი ჩვენთვის საუკეთესო პროპაგანდისტი, პროპაგანდისტი თავისებური იარაღით—მხატვრული სიტყვით, პროპაგანდისტი საბჭოთა სისტემის, კომუნისტის მშენებლობის. ბუნებრივია, რომ აქ ლაბარაკია საბჭოთა მწერალზე, ე. ი. ისეთ მწერალზე, რომელიც „დგას საბჭოთა ხელისუფლების პოლიციებზე და რომელსაც აქვს სურვილი თავისი შემოქმედებით მიიღოს აქტიური მონაწილეობა პროლეტარიატის კლასიურ ბრძოლაში და სოციალისტურ მშენებლობაში“ (საბჭ. მწერლების კავშირის წესდებიდან). სწორედ ასეთი მწერლები არიან და უნდა იყვნენ გარეთიანეული საბჭოთა მწერლების კავშირში.

მაგრამ არიან ზოგიერთი მწერლები, რომლებიც ცდილობენ, რომ შეასაძლებლონ საბჭოთა მწერლის მანდატი იქონიონ და ანტისაბჭოთა პროპაგანდა აწარმოონ მხატვრული სიტყვის შემოქმედებით. ეს ისეთი მწერლებია, რომლებიც შეგნებულად გამოხატავენ რა კლასიურ მტრების ნება-სურვილებს, ცდილობენ აწარმოონ ფარული ბრძოლა ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების წინააღმდეგ.

აქ ჩვენ შევიჩრდებთ ერთ ასეთ მწერალზე—ახალგაზრდა პოეტ გ. შატერაშვილზე. გასულ წელს გ. შატერაშვილმა დასტამბა ორი ლექსი: „განთავის დასაწყისი“ (ყურ. „მნათობი“ № 9) და „წერილი ახალგაზრდებს“ (ლიტ. გაზეთი № 14), რომლებიც არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ. ორივე ლექსი გაუდენილია ანტისაბჭოთა სულის და ფაქტიურად წარმოადგენს კულაკური ახალგაზრდობის დეკლარაციას, პროგრამას. რომ ფარდა ავხადოთ შატერაშვილის რეაქციონერ სულისკვეთებას, მის მტრულ განწყობილებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი ამ ლექსებში, საჭიროა მათზე ვაღ-ვაჭარე შევიჩრდებოთ.

დავიწყოთ პირველი ლექსიდან. უპირველესად უყვლის საჭიროა მივაკეთოთ ყურადღება თვით ლექსის სათაურს: „დასწყისი განთავისა“. ეს სათაური თითქმის ყველაფერს ამბობს, ის გადამოგვცემს ორი სიტყვითაშატერაშვილის მთელი ლექსის „ფილოსოფიას“.

შატერაშვილის აზრით, განთავადი მხოლოდ უნდა დაიწყო. ეს მომავლის საქმეა. აწმყოში კი ჩვენ განთავადი არა გვაქვს. ყველაფერი მოკლულია სუსხიანი ღამით.

ლაყვარდებიდან ნამივით შერება... და მნათობი მზის შესახვედრათ გაყინულ სხივებს აუღარუნებენ“.

სუსხიანი დამე უნდა შეცვალოს განთავადი, უნდა გარიყრადღებ, მზე ამოვიდეს და აი, შატერაშვილიც კებას უძღვეს მზის ამოსვლას. „დიდოს... იგი დინჯათ ამოვა და სხივებს გაშლის როგორც შიბრებს, მზეს შესახებენ პირველ სათხოვარს, სადღეგრძელოს და მრავალუმიერს...“ რომელ მზის ამოსვლაზე ლაბარაკობს ავტორი? რომელ მზეზე ოცნებობს იგი? რა თქმა უნდა, არა სოციალიზმის მზეზე, რომელიც უკვე ამოვიდა. შატერაშვილი ლოცულობს სულ სხვა მზეზე, რომელიც მხოლოდ მომავალში უნდა ამოვიდეს, რომელიც უნდა შეცვალოს მისი აზრით ახლა არსებული დამე. რომ ეს ასეა, რომ ავტორი უქმყოფილა აწმყოში, რომ ის დიდ სევდას განიცდის „გაყინულ“ გარემოს დამე, ამას მოწმობს პირველი ლექსის შემდგომი სტრიქონებიც:

„ეს გული მაინც ურთიერყოლა, რადგან მარადუბნა შენს ჩრდილს ვატარებ... მიეხეთქება ჩინგურის ჩინგური, და გულზე ცრემლებს ჩამოაგორებს... მიეხეთქება ხეო რასაც შრიალბენ—მისურვებ სწრაფვას და გამარჯვებას! შემამხვევია მხრებს აშრიალი. და მესმის შენი ჟოთღების რჩევა: — საით მიდიხარ? გადარებ აჩრდილს, ვისთვის ატარებ სიხარულს, სევდას. რად გსურს იბოვო ვერხვის შრიალში შენი ფიქრების ხმა და მსგავსება?...“

აშკარაა, რომ შატერაშვილი, მიუხედავად თავისი ეპოპური ენისა, ვერ შეხმლო თავისი ზრახვების დამალვა. მისი რეაქციონერი სულიერი განწყობილება მაინც აშკარად ჩანს და აქ მას ვერ შევლის ვერც ლექსის თ. ჩლისადმი მიძღვნი და ვერც მისი „უზნაინი სახეს“ ხეხედა. შატერაშვილის თავისი „სიბრძნე“, თავისი სავალი გზა აქვს. ეს სიბრძნე, ეს სავალი გზა განსხვავებულია არა ჩვენი პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მიერ, არამედ ჩვენი კლასიური მტრების მიერ. აი „უოთლების რჩევა“: რომელსაც დებულაბს ავტორი:

„მიიღე სიბრძნე ჰალაროსანი!, იარე უკან ნუ დაბრუნდები... იარე მარად, არ შეგიცოდებ, მე აქ უაროდ ჩინთვის ვზრილებ, ხან მწულხრის ქარი შემირხვეს ფოთლებს, ხან გარიყრათი შემაყრიალებ... იყავი დიდი გზების მდევარი, გულში სხვა ხმები იბადებიან...“ მიიღე სიბრძნე ჰალაროსანის, იყავი დიდი გზების მდევარი—ასეთია შატერაშვილის „ფილოსოფია“.

ვინ არის ეს ჰალაროსანი, რომლისგან შატერაშვილი სიბრძნეს ღებულაბს? არა ჩვენი პარტია და ხელისუფლება, არამედ ჩვენი კლასიური მტრები. როგორია ის დიდი გზები, რომლის მდევარია შატერაშვილი? არა ჩვენი პარტიის და ხელისუფლების მიერ ნაჩვენები დიდი გზები, არამედ ჩვენი კლასიური მტრების მიერ ნაჩვენები გზები. მიუხედავად იმისა, რომ შატერაშვილის იმედები აწმყოში დასხვერულია, მას მაინც აქვს იმედი, რომ მისი ბრძოლა უშედეგო არ იქნება, რომ მისი კვალი მაინც დარჩება, აი „უოთლების რჩევის“ გაგრძელება: „ვერ შეგაშინებს ყოარანის ყევა, მოისხამ ფრთებზე ამ საუკუნეს, გვამდებს, დასტოვებს გზებზე ნატერფალს, შენი ტორებზე შემდგარი ზუნე...“

ნათელია, რომ შატერაშვილი, თუმცაღა ფარულად, მაგრამ მაინც ეწვევა ანტისაბჭოთა იდეების პროპაგანდას. ის ოცნებობს სხვა მზის ამოსვლაზე, სხვა გარიყრათზე, ახალ „დიდ გზებზე“ და სხვ.

ტყუილი იმედები! ამაო ეს ფიქრები! შეგვიძლია დავაწმუნოთ შატერაშვილი, რომ ის მზე რომლის ამოსვლას ის უფალობს, არასოდეს არ ამოვა, რომ ის განთავადი, რომლის დასაწყისზე ის თავის ლექსს წერს არასოდეს არ დაიწყება, რომ ის დიდი გზები, რომელთა მდევარი მას უნდა იყო, მიიყვანს მას სამარცხვინო ბოლომდე.

შეიძლება ვინმე იფიქროს, რომ ეს ლექსი შემთხვევითია, მაგრამ საქმე იმაშია რომ ეს ასე არის. ამის დასამტკიცებლად საჭიროა მივმართოთ შატერაშვილის მეორე ლექსს „წერილი ახალგაზრდებს“, რომელიც კიდევ უფრო რეაქციონერია.

როგორც პირველ ლექსში, ისე აქაც სათაური ბევრ რამეს გვეუბნება. ლექსი ფაქტიურად დეკლარაციაა, მიმართული კულაკური ახალგაზრდობის მიმართ. მართალია, ამას ავტორი პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ საკმაოდ მკითხველმა ლექსს შერიდებ მაინც გაეცინა, რომ დარწმუნდეს ამაში.

ლექსი იწყება ახალგაზრდობის „შეკებით“, „მისდამი“ ხობის შესახებ. ჩვენ ვართ შტები გაზაფხულისა, ჩვენ ვართ ლაყვარდის პირველი ქება. ჩვენ ვართ რიყრათი სიჭაბუკისა, წინ რომ მიუძღვის დაქარმაჯებას!... რომელ ახალგაზრდობისადმი არის მიმართული შატერაშვილის ლექსი? შეიძლება ის მიმართულია კომკავშირისადმი, რომელიც „ყოველთვის იყო ჩვენი მებრძოლთა პირველ რიგებში“ (სტალინი).

შეიძლება ის მიმართულია დამკვირდებ ახალგაზრდობისადმი, რომლებიც „თავი ისახლებს ფაბრიკებს, ქარხნებს, რკინიგზების, საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის ახალი მშენებლობის პერიოდში“ (სტალინი). შატერაშვილიც ხომ ამბობს: „ჩვენ თავგანწირვის უდიდეს სურვილს და აღტაცებას გაუტაცვიართ!“

შეიძლება ვინმე იფიქროს, რომ აქ ლაბარაკი სწორედ კომკავშირის და არაკომკავშირული ახალგაზრდა დამკვირდებების თავგანწირვაზე, იმათ აღტაცებაზე და ბრძოლაზე სოციალისტური მშენებლობისათვის. მაგრამ საკმაოდ ლექსის შემდგომი სტრიქონები წაიკითხოთ, რომ დარწმუნდეთ იმაში, რომ შატერაშვილის ახალგაზრდობა არაფერი საერთო არ აქვს და არც შეიძლება მჭიდრდეს ჩვენს გმირულ კომკავშირთან, ჩვენს გმირულ ახალგაზრდა დამკვირდებთან.

დავდივართ ქვეყნად, შევსცქერიო შეცას გზა გაშლილია არა ვარდების არა დაუნების, როგორც ოდესღაც ხატვდა სიყრის შარავანდედი! და მეორე აღვლიას: „დავდივართ ქვეყნად... ასე შევხარით, ვეტრფიალებით მომავლის აჩრდილს და ახალგაზრდებს, სულით ჩვენგვარებს შევხვედებით სამდე დიდ მომავალში!“

„მხოლოდ ლაჩარნი არ დაზობილან არ განუცდიოთ პირველ დაცმა!“

შატერაშვილი ოცნებობს „დიდ მომავალზე“, ოცნებობს არსებული პირობების შეცვლაზე და თავის იმედებს ის ამყარებს კულაკურ ახალგაზრდობაზე.

„აიყრებიან შემდეგ შტობი ნამში, წვიმაში, რტოგაფხურელად, გაშლიან ჩრდილებს განმარტობით და დადგებიან განზე მუხებთა! და, თუ კი სხედან ბუდეში სადმე, ნორჩი ბარტყები ქარიშხლებისა, ეტყვიან ქებას ამ წელიწადებს და არწივებთა აიშვებინა!“

ან და მეორე აღვლიას: „შემოადგამო დაქარგული ფოთლებს, ვარდობის თვეში გაშლიან ხენი!“ ამრიგად, განზე გადგამა მუხებთა. ტროცკისტულ-ფაშისტური ოცნებობა მომავალ „ქარიშხლებზე“, რომელიც თურმე ამ კულაკურ ნორჩმა ბარტყებმა უნდა გამოიწვიოს—ასეთია შატერაშვილის იმედები.

შატერაშვილი ცდილობს თავისი კონტრრევოლუციური ზრახვები გაამართლოს იმათი მაგალითით, რომლებიც „მიდიდენ ციმბირში და სახრბობელაზე“, რომლებმაც „გაიტანა ხალხში ნაჯახი“. აი, ამ ჩრდილის, „გამოხმობას“ ცდილობს ავტორი „დიდი მომავლის სახელით“. მხოლოდ არ არის იმის გაგება, თუ რა აზრი აქვს ამ „ჩრდილის გამოხმობას“ ან და „ნაჯახი ხალხში გატანის“ ხეხედას ჩვენი პირებში. ეს პირდაპირი კონტრრევოლუციური—ფაშისტური ლოზუნგია. აქ საბოლოოდ ფარდა ხსდება შატერაშვილის რეაქციონერ სულისკვეთების და ის გაშიშვლებული სახით გვევლინება ჩვენ.

კიდევ მეტი. შატერაშვილი ისე გათავებდა, რომ პირდაპირ გვეუბნება: „სიბერეშიაც ვატარებთ დრომას, რომელიც დაგვავს სიბაბუკეში“. მისი აზრით, ახალგაზრდა „დაბადებული, მოსულა ადრე“ და ის უნდა „ეტრფიალებოდეს მომავლის აჩრდილს“.

კმარა. მკითხველისათვის ნათელია კონტრრევოლუციური-ფაშისტური არსი შატერაშვილის აღნიშნული „მოლიტიკური ლექსებისა“. ამ ლექსებში ჩვენ ვგვლამაპარაკება კლასიური მტერი, რომელსაც სხავს ჩვენი სოციალისტური მშენებლობა, ჩვენს აწმყო და კომუნისტური მომავალი.

ეს ლექსები ნამდვილი ანტისაბჭოთა, კულაკურ-ფაშისტური ხასიათის ლექსებია, რომლებიც დაგვამბობენ უნდა იქნას ყოველი საბჭოთა მწერლის მიერ.



# როგორი კრიტიკაა საჭირო? \*

მალაქია ბორჯომელია

ამხანაგებო, კრიტიკა და მხატვრული მწერლობა ჩვეულებრივ, თუ გნებავთ ვულგარული, წარმოდგენით ერთმანეთის მოპირდაპირე ან უკეთეს შემთხვევაში ერთმანეთის შემეხვეტი მოვლენებია სალიტერატურო ცხოვრებაში. ასეთივე შეხედულებით ეს ორი მოვლენა ერთ-ერთი განრიგებამა ერთმანეთთან. ერთი კეთილი საწყისი, მეორე ბოროტი. ერთია ალი, მეორე კვამლი. ერთმანეთს სდევნიან, ერთმანეთს ვერ შორდებიან, და, რაღაც ბუნების კანონის ძალით, ერთი მეორის მიმართ მუდმივ წინააღმდეგობაშია.

აქ ამხ. გაფრინდაშვილმა თავისი ბავშობა გაიხსენა და გადმოგვცა თავისი მაშინდელი შეხედულება კრიტიკაზე. ამ შეხედულებით, კრიტიკოსი ყველაზე ჭკვიანი კაცი უნდა ყოფილიყო და მას უკვირდა, რატომ თვით კრიტიკოსი წერს ყველაფერს. ეს ჩვეულებრივი წარმოდგენა იმაზე არის დაუფიქრებელი, რომ ისტორიულ წარსულში კრიტიკა მართლა ასეთ როლს ასრულებდა საერთოდ. მუდამ მჭირდავი, მკილაავი, სხვისი ნაწარმოების გამჭიქებელი. თუ პოეტები თავის თავს უწოდებდნენ ზემთაგონების ობიექტს, მუხებთან მოლაპარაკეს, სამაგიეროდ კრიტიკოსები მათ განაქიქებდნენ და ჩამოიყვანდნენ დედანიწაზე, ძირს ანარცხებდნენ, ანადგურებდნენ ხოლმე. ძალიან შორს რომ არ წაიკიდეთ და მაგალითად ფეოდალურ ლიტერატურას რომ შეეხებოთ, იქ თითქმის არ არის კრიტიკა, იქ არის სახალხო ლიტერატურა, მწერლობა—ხობტა, ხოლო კრიტიკა ზედმეტი ბარგია. იქ იციან, რომ ხობტა მოუხდება ძლიერა ამა ქვეყნისათა და ვინც ამას შეასრულებს, მას თვითონ ირჩევენ, ხშირად პატივსაც სცემენ. მასხარას როლში ამყოფებენ, მაგრამ არ არსებობს სპეციალური დარგი—ნაწარმოებთა კრიტიკულად განხილვისა. მხოლოდ შემდეგ, კაპიტალისტური სისტემის განვითარებისთანავე, ჩნდება კრიტიკა, ჩნდება, იმიტომ რომ ლიტერატურული ნაწარმოები ისეთსავე საქონლად იქცევა, როგორც ყველა სხვა ნაწარმოები. ის გადის ბაზარზე, ის ეძლევა მუშტარს, ამ შემთხვევაში მკითხველს, და როგორც ყველა სხვა საქონელს ჰყავს მყიდველი, ამასაც შეიძლება ჰყავდეს ბევრი თუ ნაკლები მკითხველი და აი, აქ ასრულებს კრიტიკა იმავე როლს, რასაც ასრულებს ვაჭრების ქვეყანაში ყოველი მაკური, ყოველი საქონლის მიმწოდებელი, აქ არის გადაჭარბებული ქება ან დაგება: ქება იმისათვის, რომ გასაღისი საქონელი. დაგება იმისათვის, რომ აღკვეთოს ესა თუ ის ნაწარმოები. ეს ახასიათებს მაშინდელ კრიტიკას და, როდესაც ჩვენ წარსულის განძის გადასწავლაზე და შეთვისებაზე ვლაპარაკობთ, უნდა ვიცოდეთ, რას წარმოადგენს ეს წარსული.

როცა გამეფდება კაპიტალისტური სამყარო, ლიტერატურულ ნაწარმოებს ედება სწორედ საქონლის ფასი, საქონელს კი გასაღება უნდა და კრიტიკოსი აქ ასრულებს, თუ გნებავთ, მაკურის როლს, რომელიც თავის პონორარს ღებავს ისევე, როგორც ყოველი მაკური ღებულობს პონორარს ამა თუ იმ საქონლის გასაღებაში, მაგრამ აღწევს თუ არა თავის მიზანს, გვეკითხებიან,—აღწევს იმ მხრივ, რომ ხშირად კლავს ტალანტებს. რატომ? რატომ და იმიტომ, რომ რაც უფრო ნიჭიერია და გენიოსი რომელიმე პოეტი, თუ რომელიმე პიროვნება, მით უფრო შორს წვდება მისი თვლი და მით უფრო ადვილად ააშკარავებს იმისი დროის წყობილების ფუქსავატობას, არა-საფუძვლიანობას, მის გაბრწყინას, მის დეგრადაციას, და იმ დროის გაბატონებულ ძალებს ეს არ მოსწონს და ცდილობს ასეთი უარსმკვირველი ადამიანი მოსპოს. ძალიან ბევრია მაგალითები იმისი, რომ დიდი ტალანტები მოუკლავთ, გაუნად ურებიან ან გადაუგვარებიათ, საზოგადოებრივი ფესვრულისაკენ დაუქინებიათ, ძალიან ცოტას შეძლებია გაქცევა ასეთ პირობებში და ისინი სწორედ ამით გვაოცებენ, რომ შეძლეს თავიანთ გენიოსობის შენარჩუნება და გადასცეს თავიანთი ნაწარმოებიანი შემდეგ თაობას. მაგრამ იქ, სადაც მწერალთა შორის იბადებოდნენ ასეთი ტალანტები, უმეტესად ჩნდებოდნენ კრიტიკოსთა შორისაც, რომლებიც თავიანთ კალამს იმარჯვებდნენ არა რაიმე მაკურის ან გამომჩენის მიზნით, არამედ ქვეშეპირი შემოქმედებისათვის, ხალხის სამსახურისათვის. ასეთები იყვნენ ბენიონისკი, დობროლიუნი, ჩერნიშევსკი და სხვები, რომლებიც დღეს ჩვენთვის მისაღები არიან, მისაღები იქნებოდა მათი მიდგომა, მათი მოღვაწეობა კრიტიკის დარგში. რა ახასიათებთ უმთავრესად მათ? არა ის, რომ გასულიყვენ და ეთქვათ: ეს ნაწარმოები კარგია, ხალხო, წაიკითხეთ ან და ეს ნაწარმოები არ ვარგა და ნუ წაიკითხავთ.

ისინი იღებდნენ იმ პრობლემებს, რომლებსაც მათი თანამედროვე პოეტები, დიდი ტალანტები, თავიანთ ნაწარმოებში იხილავდნენ. ამავე პრობლემებს ვარშემო უტრიალებდნენ და ცდილობდნენ თავიანთებურად გადაეჭრათ ისინი. აქ ისინი მზა-მზარეულ მხატვრულ ნაწარმოებს მიმართავდნენ, გამოიყენებდნენ თავიანთ მიზნისათვის და ასაბუთებდნენ, რომ აი, ეს პრობლემა ამგვარად არის გამოსახული ამა თუ იმ მხატვრულ ნაწარმოებში. აქედან ამ ხნატვის ნაწარმოებს ეძლეოდა ღირსეული შეფასება, ასეთი მიდგომით უკვე მტკიცდებოდა და დასტურდებოდა მხატვრული ნაწარმოების მაღალი დანიშნულება, მტკიცდებოდა ის აზრი, რომ ეს არ იყო მარტო უბრალო გასართობი, მარტო ესთეტიკური განცდებისათვის შექმნილი ნაწარმოები (მარტო ესთეტიკური განცდები არ არსებობს თავის თავად), რომ ეს არის, პირველყოფისა, გონებრივი საზრდო და იარაღი ცხოვრებაში ბრძოლისათვის, იარაღი ამავე კლასთა ბრძოლის ასე თუ ისე წარმართვისათვის. ამას ხედავდა კრიტიკოსი და ეუბნებოდა თავის მკითხველს. შესაძლებელია მკითხველი თავისი მოუხადებლობის გამო ვერ ჩაწვდომოდა ნაწარმოების სიღრმეს, რადგან ეს ხშირად განგებ იყო დამალული ცენზორის და სხვა პირობების გამო და ამ შემთხვევაში კრიტიკოსი უხსნიდა მკითხველს, რომ ესა თუ ის ვარემოება ამას და ამას მოასწავებს, ამისა და ამის ამსახველია და ამიტომ საბოლოოდ ერთმანეთს ავსებდა კრიტიკოსი და მწერალი.

ამხანაგმა გაფრინდაშვილმა აქ დაასახელა, რომ პოეტებიც აწარმოებდნენ კრიტიკასო. რასაკვირველია, როგორ შეიძლება პოეტი მოწყვეტილი იყოს იმ საკითხებს, რომლებსაც კრიტიკოსი აწვებდა. ის შეგებულად უნდა უღებოდეს საკითხს და მას უნდა შეეძლოს, რასაკვირველია, სერიოზული კრიტიკის გაწევა. მას აქვს ერთგვარი ტალანტი, რომელიც სხვას არ მოეპოება, მან ამ დარგში უნდა იმუშაოს, მხატვრული სახეები უნდა მოგვეცეს, მაგრამ არც კრიტიკა მისთვის აკრძალული ხლი. დავასახელებ ერთ მაგალითს, როცა პუშკინმა ხელი მოჰკიდა გრიბოედოვის „გაი ქუთისაგან“-ს. ისე დაახასიათა ეს ნაწარმოები, ისეთი ღრმა ანალიზი გაუყენა მას, რომ სამართლიანად ამბობდნენ—ამის დამწერი, სხვა რომ არაფერი დაეწერა, მაინც გენიოსად ჩაითვლებოდა. და ეს შეასრულა პუშკინმა ამხანაგისადმი მიმართულ ჩვეულებრივ წერილში. მაგრამ დავანებოთ თავი პოეტებს, როგორც კრიტიკოსებს. შევეხებით საკუთრად კრიტიკოსებს.

როდესაც ბელინსკი იხილავდა პუშკინს ან გოგოლს, განა მხედველობაში ჰქონდა, რომ შეეყო ან ეძაგებია ისინი? ის მუდამ უღებოდა რომელიმე პრობლემის გადაწყვეტას. დობროლიუნი უფრო პუბლიცისტი იყო, ვიდრე კრიტიკოსი, მაგრამ არ ჩამოუვარდებოდა ბელინსკის. პისარევმა სრულიად სხვ. მოსაზრებით მოინდომა პუშკინის დამარცხა და გაათახსირა იგი, მაგრამ იმასაც წინასწარ ტენდენცია ჰქონდა აღებული, რომ მხატვრულ ნაწარმოებს თავი დაანებოს ახალგაზრდობამ, მიჰყოს ხელი ბუნებისმეტყველებას და ნუ გააცდენს დროს უბრალო გასართობით, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ მუდამ თვალწინ ედგათ პრობლემები და ნაწარმოებებს იშველებდნენ პრობლემის გადაწყვეტაში და ამ მიშველების დროს გამოიხდებოდა თუ რა დიდი ნაწარმოები იყო ის თავის თავად, მათ არ ჰქონდათ ის პრეტენზია, რომ მასწავლებლის როლში გამოეყოფნენ.

როგორი უნდა იყოს ჩვენში კრიტიკა და მწერლობა საერთოდ. ჩვენში ამხანაგებო, სულ სხვანაირი სიტუაციაა, რომლებიც ძირითადად განსხვავდებიან კაპიტალისტური სისტემის პირობებისაგან. კაპიტალიზმის დროს ტალანტი, ნიჭი, სინდისი, ნაშუსი, ყველაფერი ბაზარზე არის გატანილი, ჩვენში კი ასეთი ბაზარი მოსპობილია, ჩვენში უფრო მეტად უნდა ჰქონდეს ადგილი იმას, რაც ახასიათებს ჩემ მიერ ჩამოთვლილ კრიტიკოსებს: ბელინსკის, დობროლიუნი, ჩერნიშევსკის. აქ მწერალი და კრიტიკოსი ერთ და იმავე საქმეს ემსახურებიან, ერთი მეორეს ეშველებიან. აქ კრიტიკოსი უნდა იცნობდეს საკვლევ პრობლემას თავისი მეთოდებით. თავისი გზით, თავისი საშუალებით, თავისი მატერიალით და ემყარებოდეს ამავე დროს მხატვრულ ნაწარმოებს, მასში პოებდეს თავისი იდეის დადასტურებას. კრიტიკოსი ანგარიშს უნდა უწევდეს იმ ვარემოებს, რომ მწერალი უშველებელ ინტელექტუალურ ენერჯის ხარჯავს ნაწარმოებზე და თუ რაიმე შეცდომა მოუვება მას, ეს სრულიად საფუძვლიანად და მგობრული მიდგომით უნდა იქნეს გამოიწვევლი. ცხადია, რომ მწერალი ხან კარგად შეასრულებს თავის საქმეს, ხან ცუდად, მაგრამ ყოველი სიტყვა. რომელიც ითქმება ამა თუ იმ ნაწარმოებზე, უნდა იყოს სავსებით დასაბუთებული, გადასწავლავს ადგილი არ უნდა ექნეს. მაშინ კრიტიკოსიც მოიპოვებს პატივსაცემას მკითხველისაგანაც და მწერლისაგანაც. როდესაც კრიტიკოსი უფრო გულდასმით შეისწავლის ნაწარმოებს, როდესაც ის მაგალითად ერთხელ კი არა, ორჯერ წაიკითხავს ნაწარმოებს, კარგად დაუჭირდება მას, ცხადია, შედეგიც უკეთესი იქნება. საშუალო სკოლებში მასწავლებელი მეორედ კითხულობდა ხოლმე თავის შეგირდებს თხზულებებს და რა იქნება, რომ ჩვენმა კრიტიკოსმა მეორეჯერ წაიკითხოს ის ნაწარმოები, რომლის კრიტიკასაც აპირებს. პირველად წაიკითხვის დროს ის მიყვება იმ განცდას, თუ როგორ შეიძლება კაიტაცოს ამ ნაწარმოებმა მკითხველი და როგორია ის განცდა, რომელსაც ნაწარმოები გამოიწვევს. მეორეჯერ კი უკვე მუშტარის თვლით წაიკითხავს, როდესაც კრიტიკოსი ასე გამოიჩენს თავის თავს, მერწმუნეთ, მან დაუსაბუთებლად რომ თქვას „ეს ასეა“-ო დაუჭერებენ.

დღევანდელ თათბირზე მწერლები უფრო ნაკლებად გამოიხიან. ისე ხომ არ არის საქმე, რომ კრიტიკოსთა თათბირზე მარტო კრიტიკოსებმა უნდა ილაპარაკონ. მე გგონია მწერლებმაც უნდა ილაპარაკონ, კრიტიკოსებიდანაც უფრო მეტს უნდა ელაპარაკებოდნენ. მაგრამ ჯერჯერობით არ ლაპარაკობენ. არც ეს არის ნორმალური, უმეტესად თვითგანქიქებაზე და თვითკრიტიკაზე ხომ არ უნდა ლაპარაკობდნენ? უნდა გამოხვიდეთ, უნდა დააყენოთ პრობლემა, რას აპირებთ მომავლისათვის, რას უნდა მიაკციოთ ყურადღება, რომ ეს ფრონტი გავამაგროთ. სათქმელი კი ბევრია ავიღოთ თუნდა ასეთი ფაქტი, ჟურნალ „ახალგაზრდა მწერალს“ ცვიმთ ახალგაზრდა მწერლებისათვის. ყველამ ვიცით, რომ მწერლობის ნიჭი შეიძლება ძალიან ადრე გამოაჩნდეს კაცს. ლერმონტოვი 12 წლის იყო, როცა მშვიდნიერ ლექსებს, პირდაპირ შედევრებს წერდა. ამიტომ ეს საფუძვლიანი და სამართლიანი არის, რომ ჩვენ მივიღოთ ახალგაზრდა მწერალი, რომელიც ჯერ კიდევ კარგად არ გაწაფულა, ერთგვარი შეჯობით მივალწიოთ იმას, რომ ასიდან შეიძლება ათი მწერალი დაგვრჩეს და ეს დიდი საქმე იქნება. მაგრამ თუ ჩვენ პოეტს უბეჭდავთ ლექსებს, ან ბელეტრისტს ნაწარმოებს, ეს როდი ნიშნავს, რომ ამნიანი წერილების მოტანა შეუძლიათ დამწყებ კრიტიკოსებს. თურმე წარმოუდგენიათ, რომ რაკი დამწყები მწერლების ჟურნალი არის, ამიტომ დამწყები კრიტიკოსებიც უნდა იბეჭდებოდნენ იქო. დამახსოვთებელი არის თუ არა ეს, ამხანაგებო, კრიტიკოსს არაფერ აძალბებს, გამოდი და წერო—გაკვირვებას გამოთქვამენ ხოლმე რომ არ გაუფიქრებოთ ახალგაზრდა კრიტიკოსის ნაწერს, ახალგაზრდა იყოს, მაგრამ რაც საჭიროა, შეასრულოს, ლიტერატურა იცოდეს, ცოტა ფილოსოფიასაც გაეცნოს—არ აწყენს და მართლა ახალგაზრდა მწერლებზე მაღლა დადგეს. ახალგაზრდა მწერალს შეუძლია თავისი განცდები გადასცეს და ლიტერატურა არ იცოდეს, მაგრამ კრიტიკოსს არა აქვს უფლება რაიმე კრიტიკული დაწეროს თუ არ იცნობს ლიტერატურის ისტორიას, მსოფლიო გენიოსებს, არ იცნობს შექსპირს. სამწუხაროდ, ისეთი პოეტებიც არიან, რომლებსაც შეიძლება მხოლოდ სახელი გაუგონიათ შექსპირის,

მაგრამ ახლა იმაზე არ ვლაპარაკობთ, ახლა კრიტიკოსებზე ვლაპარაკობთ და თვითკრიტიკის სახით უნდა ეთქვათ სიმართლე.

აქ ამხ. დემნა შენგელაია წამოჭრა საკითხი კიდევ ენის შესახებ. იმ საკითხში მართლაც ხელი შეუწყო კრიტიკის გადვილებას. ეძებენ გრამატიკულ შეცდომებს ანდა პროვინციულ სიტყვებს, ამ შემთხვევაში უშველებელ წერის ხან სამართლიანს, ხან უსამართლს და ავსებენ ასეთი კრიტიკით ჟურნალ-გაზეთებს, ასეთი საქმიანობა ყოველ დაუშვებელია.

ახლა — სერიოზულ კრიტიკაზე, იმაზე ვინც ღირსი არიან ამ სახელის წოდებისა. ხშირად იმათ იციან უდიდესად მიდგომა. მწერალი რომელიმე თავის ნაწარმოებს დიდ დროს ანდომებს, არა ნაკლებ ერთი წლისა. კრიტიკოსი ამას წაიკითხავს ერთი კვირის განმავლობაში, საფუძვლიანად თუ წაიკითხავს, თორემ ზოგიერთი კი სრულდებათაც არ წაიკითხავს, ასეთებზე მე არ ვლაპარაკობ. მაშასადამე, კრიტიკოსი ვლითხავს ერთი კვირის განმავლობაში, და რეცენზიის დაწერასაც ანდენსავე დროს მოანდომებს. მას აქვს შეილება ორი კვირის განმავლობაში ანგარიში გაუსწოროს ცთელი წლის სხვის ნაწარმს, და თუ აქ ფრთხილად არ მოიქცა, მას შეუძლია დიდი ღირებულება ერთი ხელის დაკვრით დაასამაროს.

სამწუხაროდ, ჩვენ კრიტიკას ახასიათებს მეტად იოლი გზით სიარული, გახუკობა უბასუხიმგებლო მტკიცებანი. მაგ. რა იქნება იმაზე ადვილი, რომ ამოსწერო რომელიმე ადგილი ნაწარმოებიდან და ქვეშ მიუწერო: „ეს ადგილი მხატვრულად გამართლებულია“, ანდა „ეს ადგილი მხატვრულად გამართლებული არ არის“. რატომ? რისთვის, რა არის აქ მოსაწონი ან დასაწონი, —ამაზე კრიტიკოსი თავს არ იტყუებს, მისი მსჯავრი უაპელაციოა და რადგანაც ასეთი რა- ხშირად იბეჭდება. მკითხველიც ეჩვენება ამას და ჰგონია, რომ ეს არის კრიტიკოსობა.

ამხ. დემნა შენგელაია ამბობს, რომ ზოგიერთი კრიტიკოსი არც კითხულობს ნაწარმოებს, ისე აძლევს შეფასებასო. არიან თუ არა ასეთები? მე არ მაქვს თან ის წიგნი, რომელშიაც გიჩვენებდით ამის ნიმუშს. ავტორს რამდენიმე სტატია დაუწერია ერთ და იმავე თემაზე ჟურნალში და გაზეთში, ჟურნალში ვრცლად, გაზეთში მოკლედ; შემდეგ ეს სტატიები გრძელიც და მოკლეც ერთად შეუკრებია და ცალკე წიგნად გამოცა. რა ღირებულებას წარმოადგენს ეს ამ შემთხვევაში? ჩვენ, რასაკვირველია, უკეთესი და სერიოზული კრიტიკოსებიც მოგვეპოვება, მაგრამ როდესაც მათ წრეში თავს იჩენს ასეთი მოვლენა, ეს უკვე გველაპარაკება იმაზე, რომ ალბათ ისინიც სერიოზულად ვერ უღებდნენ ჩვენს წრეში ისეთმა კრიტიკოსმა გამოცხვლა, რომელმაც არ იცის რა არის კრიტიკა, რომელიმეც არ იცის ლიტერატურის ისტორია და გარდა ამისა არ წაუკითხავს ის ნაწარმოები, რომელზედაც წერს. კრიტიკის დარგში არ უნდა გამოვიდეს ისეთი წიგნი, რომელიც წარმოადგენს უბრალო კრებულს ჟურნალში და გაზეთში დაბეჭდილი ერთი და იგივე საგნის გრძელ და მოკლე სტატიებს.

ერთი მეორის დაპირისპირება კი არ უნდა იყოს, კრიტიკოსისა და მწერლისა, არამედ აქ უნდა იყოს ერთი მეორის შევება, ალზრდა და დამატება. ჩვენს პირობებში, საბჭოთა პირობებში სხვანაირი მიდგომა კრიტიკისადმი შეუძლებელია. ძველ დროს, როდესაც ნაწარმოებს ასაღებდნენ როგორც საქონელს ჩვენ ვერ დავემსგავსებთ, ჩვენში ადგილი არ უნდა ჰქონდეს რეკლამას და ან უსამართლოდ განქიქებას.

რასაკვირველია, კრიტიკას მიღწევები აქვს. ამას ვერავინ უარყოფს. მთელი რიგი ჩვენი მწერლებისა რომ გადადის საბჭოთა პლატფორმაზე, ეს არ ხდება კრიტიკის გარეშე. ეს ხდება სხვადასხვა მოვლენების და ფაქტორების გავლენით, მაგრამ კრიტიკასაც აქ თავისი წვლილი მიუძღვის, ამას ვერ ურვეყოფთ. მაგრამ თვითკმაყოფილება, თავის დაიმედება, რომ ყველაფერი მიღწეულია, დაუშვებელია. ყოველი ახალი დღე მოითხოვს ახალ საქმეს და თუ ფეხდაფეხ არ მიყვებით, მწერალი იქნებით თუ კრიტიკოსი, გაიორყებით ცხოვრებიდან. ასეთია ცხოვრების საერთო განვითარების კანონი (ტაშმი).

\* მწერალთა კავშირის მიერ კრიტიკის საკითხებზე მოწვეულ რესპუბლიკურ თათბირზე წარმოთქმული სიტყვა.



კრიტიკის საკითხებისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური თათბირი, რომლის დასაწყისში შესახებ ჩვენი გაზეთი წინა ნომერში იტყობინებოდა, დასრულდა ორი სხდომით. მოხსენებით კრიტიკის მდგომარეობის შესახებ გამოვიდა ანხ. დ. დემეტრაძე და ლიტერატურული თეორიის საკითხებზე ანხ. ბ. ჟღენტაძე.

ანხ. დემეტრაძემ მოხსენება დაიწყო ლენინის ლიტერატურის საკითხებისადმი მიძღვნილი წერილების გარეშე. ლენინისთვის, როგორც ტიპური მარქსისტი კრიტიკოსისათვის, ძირითადია ნაწარმოების შინაარსის გაგება, მისი კრიტიკა. იგი იღებს მხატვრულ ნაწარმოებს, როგორც ნაწილს საზოგადოებისა და ჩვენც ნაწარმოების გარეგნულ უნდა განვიხილოთ იგი, როგორც შემადგენელი ნაწილი კულტურული რევოლუციისა. ჩვენი კრიტიკა უნდა იყოს პოლიტიკურად მახვილი და მეცნიერულად მძლავრი. ჩვენი კრიტიკა ტენდენციურია იმ გაგებით, როგორც ანხ. ანხ. ჟღენტაძე და ანხ. კობაძე საბჭოთა ლიტერატურაზე (სიტყვა საკითხისათვის ყრითობაზე).

ამათვის ნაწარმოების გარეგნულს კრიტიკამ უნდა დაამუშაოს ესა თუ ის რესპუბლიკური თემა, რომელიც ახლა დგას ამ ნაწარმოების თემასთან. სამწუხაროდ, კრიტიკა ვერ დგას იმდენად მაღალ იდეურ სიმაღლეზე, რომ შესძლოს ასეთი ანალიზი. ამ საქმეში მას ხელს უშლის, სხვათაშორის, ვულგარობა და ფორმალისტიკა. მაგრამ ჩვენი კრიტიკის არც დაუფასებლობის გამოჩენა შეიძლება: იგი იზრდება, ამხელს ხოლომე კლასობრივ მტერს და რანაშავს მწერლებს პარტიის ამოცანების ირგვლივ.

შემდეგ მოხსენებელი გადადის ზოგიერთ კრიტიკოსების კრიტიკაზე. კერძოდ ის აღნიშნავს რამ. ანხ. ბ. ბუაჩიძემ ბოლომდე არ გააკრიტიკა თავისი იმდროინდელი შეცდომები, როდესაც ის პროლეტ. მწერალთა ასოციაციაში მუშაობდა. ანხ. ბუაჩიძე თავის რეპლიკებში ურყევად ამ ბრალდებას. მომხს. აკრიტიკებს აგრეთვე კრიტიკოს ანხ. ბ. ქიქოძის ზოგიერთ შეხედულებებს რევოლუციური რომანტიზმის საკითხებში და სივლის, რთა აქ გამოსჭვივს რენდენცია რომანტიზმის და რეალიზმის დაპირისპირებისა, რასაც ანხ. ქიქოძე თავის რეპლიკებში არ ვითანხმება.

კრიტიკოსს უმჯობესია შესახებ მომხსენებელი ამბობს, რომ მას ახასიათებს „მომავლის პრობლემა“ არასწორი წარმოდგენა, რომ მისი წერილებში მომავლისთვის ბრძოლა აბსტრაქტულია.

ტულადა წარმოდგენილი. არ აქვს ამ კრიტიკოსს ამხანაგური ტონი — აცხადებს დ. დემეტრაძე — და ასახელებს კრიტიკოსის კ. ლორთქიფანიძისადმი და პ. ჩხიკვაძისადმი დამოკიდებულებას.

ანხ. ბ. ჟღენტაძე თავის მოხსენებაში ლაპარაკობს ლიტერატურული თეორიის სისუსტეზე, დაბნეულობაზე, რომელსაც ჟანრების საკითხებში აქვს ადგილი. ის ამტკიცებს, რომ ქართული ლიტერატურის ისტორიის სფეროში ჩვენი არ გვაქვს მარქსისა, ლენინისა და სტალინის მოძღვრების ჰეგემონია. ის ლაპარაკობს აგრეთვე იმ შეცდომებზე, რომლებიც კლასიკოსების შესწავლის საკითხში გვექონდა და აქვე დასძინს, რომ ს. ხუნდაძის სოციალ-ფედერალისტური შეხედულებები საუბედოდ სწორად იქნა გაკრიტიკებული წინანდელ თეორიულ კამათში.

თათბირის მეორე დღეს კამათში მონაწილეობა მიიღეს უმთავრესად ზოგიერთმა მწერლებმა. მ. ჯავახიშვილი ლაპარაკობს სქემატიზმის შესახებ კრიტიკაში. მკვლევარი ა. ბარამიძე ცნობს, რომ მას მართლაც შეიძლება ახასიათებდეს „მწიროლი სოციალოგიზმი“, მაგრამ ამ ნაკლის სერიოზული კრიტიკა მას არსად არ მოუხსენია. ანხ. ჰეიშვილი აღნიშნავს, რომ ზოგიერთ კრიტიკოსების წერილები მოგვაგონებენ ციტატებით დომინოს თამაშს (ასეთად ასახელებს კ. მეღაძეს), რომ არსებობს ერთგვარი ნოშენკლატურული, მხოლოდ დამსახველებელი და ინფორმაციული კრიტიკა, რომელიც ჩვენითვის ნაკლებად სასარგებლოა. იგივე ორატორის აზრით, მიმდინარე თათბირს არ დაუშვამს კრიტიკის პრაქტიკული საკითხები.

მწერალი დ. შენგელია კრიტიკოსებს შემოქმედებითი პროცესის უცოდინრობას უკითხვებს. ჯ. გაფრინდაშვილი არ ვითანხმება იმ კრიტიკას, რომელიც მისი ლექსის შესახებ მოთავსდა „ახალგაზდა კომუნისტში“ ამ ბოლო ნაწილში. იგი მოუწოდებს თვით მწერლებს კრიტიკის დარღვი მუშაობისკენ. კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე დ. სულიაშვილი, ლ. ასათიანი და სხვ.

რაც შეეხება ანხ. მ. ცორაშვილის სიტყვას, მას მთლიანად ვიმდებოთ ჩვენი გაზეთის ამ №-ში.

საბოლოო სიტყვაში ანხ. დ. დემეტრაძემ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ თათბირში მონაწილეობა არ მიუღია ჩვენი კრიტიკის აქტივს და თვით მწერლებმაც ნაკლები ინტერესი გამოიჩინეს მისადმი. მოხსენებელი ამას მოუხმადებლობით ხსნის და საჭიროდ მიანჩნა კრიტიკის საკითხებისადმი ხელახლა დაბრუნება.

დაბოლოს ანხ. დემეტრაძე აღნიშნავს აგრეთვე, რომ კამათის პროცესში ადგილი ჰქონდა ანხ. ბ. ქიქოძის წინააღმდეგ პირად კინკლაობაზე და უპასუხისმგებლობაზე დამყარებულ შემთხვევით გამოსვლას (გაგებობა), რასაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს სერიოზული საკითხების გარეგნულს.

1  
ოქროსფეხა ვარსკვლავები  
მიმოდიან მაღლა ცაზე,  
რათა ძილი შუალამის  
მშვიდი იყოს ქვეყანაზე.  
  
და ფოთლების მწვანე ყურით  
ფხიზლად ისმენს ტევრი ბნელი  
და მიივს შორით გაუწყვდიან  
ჩრდილნი თვისნი, როგორც ხელნი.  
  
ჩუ! მღერაინ და ამ მანგებს  
გულმა სენა შეაღია:  
ეს ხმა არის საყვარელის,  
თუ ბულბულის წყრიაღია?

2  
თუ ბევრი გაქვს ყველაფერი,  
შეგატეხენ, მოგაროშვიენ.  
თუ ცოტა გაქვს, — ამ ცოტასაც  
წაიღებენ წაგაროშვიენ.  
  
დატაკი ხარ — ხამარეში  
ჩაძვრი და მოკვდი, ჩიავ!  
სახიცოცხლო პირი მას აქვს,  
ვის სხვაც რამე გაჩინია.  
  
მთარგმნელი მარიაკა მიქელაძე

„ცხელ-ცხელი ამბები“

ფილიპი აკაკის შესახებ

აკაკის შემოქმედების შეფასება, მისი მთლიანი ფიზიონომიის გაგება შეუძლებელია მანამდე, სანამ მთლიანად არ შეგროვდება როგორც მისი პირადი წერილები, ისე ცენზურის მიერ აკრძალული (და ასეთი კი ბევრია) ლექსები, პოემები და ფელეტონები.  
ჩვენი „ლიტერატურული გაზეთი“ კი ახლა ამ საქმეს იღვრადღებებს აქცევს და ჩვენც ამ იმედით მოგვაქვს გაზეთში აკაკის მიერ 1873 წელს დაწერილი და ცენზურის მიერ აკრძალული ფელეტონი.  
(წერილების შეგროვებაში და სხვადასხვა ცნობების მოწოდებაში დიდი დახმარება გამოიწვია ქუთაისის მუზეუმის უფროს მეცნიერულ თანამშრომელმა ტ. ჯაფარიძემ, რისთვისაც მადლობას ვუძღვით).  
ფელეტონი გამაღებელი და დაბეჭდილი გაზეთ „დროებისათვის“. ფელეტონს მტედ დიდი მნიშვნელობა აქვს ეპოქის დამახასიათებელ მოვლენის შესწავლის საქმეში, რომელიც ნათელსურათს იძლევა, თუ როგორ ხდებოდა მარშლის თუ წინამძღოლის ამორჩევა.

დრამატურგები ცეკას კულტურის გამგისთან და განათლების კომისართან

დრამატურგები შევირბენ პარტიის ერთერთ ხელმძღვანელთან კულტურის დარგში — ანხ. კარლო ორაგველიძესთან და განათლების კომისარ ანხ. აკაკი თათაროშვილთან. რომ ესაუბრათ დრამატურგიის საჭირობაზე და საკითხებზე.

თეატრები ყურადღებით არ ეპყრობიან დრამატურგებს, არ მუშაობენ მათთან. პიესებს თარგმნიან მსახიობები, პიესებს წერენ რეჟისორები, დრამატურგებს კი ამ სამუშაოს გარეშე სტოვებენ (პ. სამსონიძე, პ. ბაახოვი).

თეატრები უმთავრესად იკვებებიან თარგმნილი პიესებით. თარგმნილი პიესებს ტფილისის თეატრები ნაკლებად დგამენ, რაიონის თეატრები კი მუდმივ შემადგენლობითა და ცელმდღეანელობით არ მუშაობენ, რაც მათ რეპერტუარს მეტიმეტად ცვლის. თვითმოქმედებითი თეატრალური წრეები არ მუშაობენ კლუბებთან (ბუხნიკაშვილი).

არც გაზეთები აქცევენ სერიოზულ ყურადღებას დრამატურგიის საკითხებზე. გაზეთებში კანტი-უნდელ მოთავებული რეცენზიები მეტად ზერელეა და დაბალი ხარისხისა (მთავრად, თარგმნილი).

შემდეგ გამოიშულ ორატორების ბ. ჟღენტის, პ. ქიქოძის, ს. შანშიაშვილის აზრით, დრამატურგების და დრამატურგების საჭირობაზე და საბოლოოდ ამოცანა შემოქმედებითი ხარისხის ამაღლება. თეატრი შემოქმედებითი ორგანიზაცია და მას არ შეიძლება პიესა ძალით მოეხიოს თავზე. თუმცა დრამატურგია უფრო მეტად დედათა შედგენის მოგვეცემდა, რომ თეატრები უფრო ახლო მუშაობდნენ დრამატურგებთან.

ანხ. თათაროშვილი აღნიშნავს, რომ თეატრებსა და დრამატურგებს შორის ვერა სასვენებითი ნორმალური ურთიერთობა. — დრამატურგები ამში ბრალს თეატრებს სდებენ — ამბობს თათაროშვილი — თეატრები კი ხაზს უსვამენ დრამატურგიის ჩამორჩენას. ერთი კი რამ აშკარაა, საერთოდ დამტკიცებული თვისია: მიუხედავად იმისა, რომ დრამატურგია გაიხარდა, იგი მაინც ჩამორჩება საერთოდ დღეს. თეატრს რომ კარგი ხარისხის პიესა ჰქონდეს, იგი არ იტყვის მასზე უარს.

ანხ. თათაროშვილი მიუთითებს თეატრების უარყოფით მხარეებზე, რომლებიც საკმაოდ ვერ ზრუნავენ დრამატურგიის განვითარებაზე. შეცდომებზე ორივე მხრით უნდა მიუთითოთ და აღმოვეჩვენოთ ისინი ჩვენი პრაქტიკაში.  
— ჩვენი „პროვინციის“ თეატრებს უფლებდელ გყავთ. რაიონის თეატრების ქსელი დღით

დღე იზრდება, უნდა მივცეთ მაღალი ხარისხის პიესები რაიონებს, სოფელს.

საუბარი დასრულდა ანხ. კარლო ორაგველიძემ. მან აღნიშნა ზოგიერთი ამხანაგების არასწორი გამოსვლები, თეატრისა და დრამატურგიის დაპირისპირების ცდა.

— თეატრში დრამატურგი საშუალებდის წევრია. იგი უნდა ცდილობდეს კარგი პიესა მისცეს თეატრს. კარგი პიესა ყოველთვის წამყვანია თეატრში. უნდა ვიბრძოლოთ ამ კარგი პიესის შექმნისათვის.

ანხ. ორაგველიძე მიუთითებს ახალგაზრდა დრამატურგებში არსებულ განდიდებისა და გადაფასების ტენდენციებზე. — ახალგაზრდა დრამატურგებს მართებთ მეტი მუშაობა თავის თავზე.

— დრამატურგის ხარისხის ამაღლებას, ამბობს ორაგველიძე, ხელს შეუწყობს დრამატურგიის ყოველთვიური უსრნალის გამოშვება, რომლის ირგვლივ დრამატურგები უნდა შემოკრიბოს შემოქმედებითი კადრები და გაშალოს პრაქტიკული და საქმიანი მუშაობა.

რა თქმა უნდა, პრესა ნაკლებ ყურადღებას აქცევს თეატრისა და დრამატურგიის საკითხებს. ეს ხაწილობრივ შეიძლება იმიტომ აიხსნას, რომ მიცროდენი კადრია თეატრალურ კრიტიკოსებისა და რეცენზენტების. „ლიტგაზეთმა“, „მნათობმა“ და ყოველდღიურმა პრესამ მეტი როლი უნდა ითამაშოს დრამატურგიის ხარისხის ამაღლების საქმეში. „ლიტგაზეთი“ კერძოდ სათანადოდ ვერ ენმარება დრამატურგებს.

დასასრულად, ანხ. ორაგველიძე ეხება საბავშვო დრამატურგიას. იგი აღნიშნავს, რომ ზოგიერთ ჩვენი დრამატურგისათვის სათაკილო საქმეა საბავშვო პიესების წერა. ამ მეტად რთულმა და დიდმა საქმემ დრამატურგთა შემოქმედებით პრაქტიკაში თვალაჩინო ადგილი უნდა დაიჭიროს.

რაოდენი სიხარული და სიციცხლე შეაქვს ბატარა ენთუზიასტებს შორის კარგი პიესის ყურებას.

კიდევ ბევრ სხვა საკითხებს შეეხო თათბირი, ამ შეხვედრამ ბევრი საკითხისა და სახელმძღვანელო მასალა მისცა მწერალთა კავშირსა და დრამატურგთა თაგინათ ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობისათვის.

თათბირმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დრამატურგიისათვის საბრძოლო საქმეს საორგანიზაციო საკითხები კი არ შეადგენენ, არამედ შემოქმედებითი ხარისხისათვის ბრძოლა. მწერალთა კავშირმა უფრო მეტი დახმარება უნდა გაუწიოს სწორედ ამ მხრივ.



ასეთი სათაურით გამო-  
„ხატვითა კავშირის ვიდა საბჭოთა კავშირის  
ხალხთა თეატრი ხალხთა დრამატურგების  
პიესების აღმანიხი № 1.  
წიგნში მოთავსებულია ა. კორნეიჩუკის „ესკად-  
რის დაღუპვა“, კ. ჩორნის (ბელარუსისა) „სა-  
შობლო“, მ. დანიელის (ებრაელი დრამატურ-  
გია) „ოთხი დღე“ (იულისის), პოლიკარპე კაკა-  
ბაძის „ყვარვერე თუთარბო“, დეორენიკ დმირ-  
ჩიანის „გამაცი ნაზარი“ და ფადის ბურნაბის  
(თათარი დრამატურგი) — „შეგარდნები“. თარ-  
გმანები კარგ შთაბეჭდილებას სტოვებენ. კერ-  
ძოდ, ყვარვერე თუთარბო, მართალია,  
ავტორისუბულია, მაგრამ ორიგინალთან შედა-  
რებით მაინც ბევრსა ჰქარავს. პიესებს წინ  
უძღვის ავტორის მოკლე ბიოგრაფია და პორ-  
ტრეტი, წიგნს დართული აქვს სერგო ამაღლო-  
ბელის ვრცელი წინასიტყვაობა „ნაციონალური  
ხელოვნების საკითხები“.

აკაკისუბული სახლის „საქარ-  
თველოს სალიტერატურო  
ფონდის“ მმართველობაში  
გადასვლის გამო, ლიტფონ-  
დისათვის სხეიტორში სპეციალური კო-  
მისია, რომელმაც უნდა შეისწავლოს აკაკის სახ-  
ლის მდგომარეობა, შეადგინოს სახლის რემონ-  
ტის გეგმა და ხარჯთაღირებევა, რათა გაზაფ-  
ხულადაც შესაძლებელი იქნეს მუშაობის დაწყება.  
კომისიასთან ერთად სხეიტორში გაემგზავრა  
„ლიტერატურული გაზეთის“ მანამწომელი,  
რომლის ნარკვევი ფოტოსურათებით მოთავსე-  
ბული იქნება ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში.

ვოროშილოვის სახ. კლუბში  
ნ თებერვალს ეწყობა თე-  
მატიური ლიტერატურული  
სალამო: „ახალი ადამიანი

რედაქციამ მიიღო პროფ.  
ახალი წიგნი სიმონ ყაუხჩიშვილის „გე-  
ორგია“. პიზანტიელი  
მწერლების (პროკოპი კესარიელის, იუსტინე-  
სი და იოანე ლიძეს) ცნობები საქართველოს  
შესახებ; ტ. ი. წიგნი შეიცავს: ბერძნულ ტექსტს,  
ქართულ თარგმანს და კომენტარებს, რომლე-  
ბიც ზოგან ცალკე გამოკველეებს წარმოადგენს.

ბაქოს ქართული იხდის თავისი არსებო-  
ბის 30 წლის თავს. შემ-  
თავები დგარია სპეციალური შერე-  
ული კომისია, რომელიც შედიან როგორც სა-  
ქართველოს, ისე აზერბეიჯანის განათლების  
სახ. კომისარები, პარტიის ორგანოების წარმო-  
მადგენლები და სხვა. კომისია უკვე შეუდგა წი-  
ნაწარა სამხადისს. იუბილე გადახდილი იქნება  
საბჭოთა აზერბეიჯანის 15 წლის თავზე (მიმ-

„ხაკიბმა“ გამოსცა „სუ-  
სურამის ციხე რამის ციხის“ რუსული  
რუსულად თარგმანი ლ. აღნი-  
შვილის გამოკველევით  
და კომენტარებით. წიგნი დასურათებულია  
მხატვ. ს. ნადარეიშვილის მიერ.

კონსერვატორიის დარბაზ-  
ში ნ თებერვალს ჩატარდე-  
ბა მუსკალური ნიჭით და-  
ჯილდოებულ ბავშვთა სრუ-  
ლიად საქართველოს კონკურსი სახ. კონსერვა-  
ტორიასთან არსებულ საბავშვო ჯგუფში ჩასა-  
რიცხვად.

გამომცემლობა „მებრძოლმა  
ქართული ანდაზები ათვისტა“ გამოუშვა ქარ-  
თული ანდაზების კრებული,  
შედგენილი დ. თურდოსპირისა და  
ვ. მ. გაბრიჩიძის მიერ (პ. ქყონიას  
წინასიტყვაობით). კრებულში სამი ათასზე მეტი  
ანდაზა შეკრებილი.

ბავშვთა კონკურსი  
ჯილდოებულ ბავშვთა სრუ-  
ლიად საქართველოს კონკურსი სახ. კონსერვა-  
ტორიასთან არსებულ საბავშვო ჯგუფში ჩასა-  
რიცხვად.

კონკურსი ტარდება ფორტოპიანოზე, ჩელოზე  
და ვიოლონზე. კონკურსზე დაშვებული იქნებიან  
ბავშვები 7—12 წლამდე.

ჩვენი გაზეთის შემდეგი № (12 თებერვლის) მიძღვნილია აკაკისადმი,  
გამოვა 8 გვერდად და მდიდრად ილუსტრირებული.